საბჭოს ერთობლივი მოქმედება **2008/760/CFSP,** 2008 წლის 25 სექტემბერი **საქართველოს კრიზისში ევროპის კავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ**

ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებს ევროპის კავშირის ხელშეკრულებას, განსაკუთრებით მის მე-14, მე-18 (5) და 23 (2) მუხლებს,

ვინაიდან:

(1) 2008 წლის 1 სექტემბერს, ევროპულმა საბჭომ გამოხატა ღრმა წუხილი საქართველოში განვითარებული ღია კონფლიქტის გამო და ევროკავშირის სახელით გამოთქვა მზადყოფნა მხარი დაეჭირა ნებისმიერი ძალისხმევისთვის, რომელიც მიმართული იქნებოდა კონფლიქტის მშვიდობიანი და მდგრადი გადაწყვეტისკენ.

(2) ევროპულმა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს კრიზისში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის (EUSR) დანიშვნა.

(3) 2008 წლის 15 სექტემბერს საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/736/CFSP საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ (EUMM Georgia).

(4) იმავდროულად საბჭომ გადაწყვიტა პიერ მორელი დანიშნოს საქართველოს კრიზისში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად (EUSR).

(5) ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ჩაერევა ისეთ სიტუაციებში, რომლებმაც შესაძლოა გააუარესოს ან ზიანი მიაყენოს ხელშეკრულების მე-11 მუხლში ჩამოყალბებულ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას,

ღებულობს ამ ერთობლივ მოქმედებას:

მუხლი 1

ევროპის კავშირის სპეციალური წარმომადგენელი, ბატონი პიერ მორელი ინიშნება საქართველოს კრიზისში ვროპის კავშირის სპეციალურ წარმომადგენლად (EUSR), ამ ერთობლივი მოქმედების მიღების დღიდან – 2009 წლის 28 თებერვლიდან.

მუხლი 2

ამოცანები

საქართველოს კრიზისში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ეფუძნება ამოცანებს, რომლებიც შემუშავებულია 2008 წლის 1 სექტემბერს და 2008 წლის 15 სექტემბერს საქართველოს საკითხზე ევროპული საბჭოს ბრიუსელის საგანგებო შეხვედრაზე გაკეთებული დასკვნების მიხედვით.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი განამტკიცებს საქართველოს კონფლიქტის დარეგულირებაში ევროპის კავშირის დახმარების ეფექტიანობას.

მუხლი 3

მანდატი

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მანდატი მოიცავს შემდეგს:

(ა) პირველი, საერთაშორისო მოლაპარაკებების მომზადებაში დახმარების გაწევა, რომელიც გაიმართება 2008 წლის 12 აგვისტოს დარეგულირების ექვსპუნქტიანი გეგმის გარშემო, და რომელიც შეეხება შემდეგ კონკრეტულ საკითხებს:

- რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სქემა,

- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე,

- სხვა საგანი, მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

მეორე, ევროკავშირის პოზიციის შემუშავებასა და მის წარდგენაში დახმარების გაწევა, მის დონეზე და შესაბამის მოლაპარაკებებში;

(ბ) 2008 წლის 8 სექტემბერს მოსკოვსა და თბილისში დადებული ხელშეკრულების და ასევე 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების განხორციელებაში ხელშეწყობა, გაეროსთან და ეუთოსთან მჭიდრო კოორდინირებით;

ზემოაღნიშნული მოქმედებების ფარგლებში ევროკავშირის ადამიანის უფლებათა პოლიტიკის და ამ სფეროში მისი მიდგომების გატარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ბავშვებისა და ქალების მიმართ.

მუხლი 4

მანდატის განხორციელება

1. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი თავისი მანდატის განხორციელებისას მოქმედებს საკუთარი უფლებამოსილებით და გენერალური მდივნის/უმაღლესი წარმომადგენლის (SG/HR) ოპერატიული მითითებების მიხედვით.

2. ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან უპირატესი კავშირი აქვს პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტს (PSC), რომელიც საბჭოსთან კონტაქტის უმთავრესი სტრუტურაა.პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტი ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს აწვდის სტრატეგიულ მითითებებს და პოლიტიკურ მიმართულებებს მისი მანდატის ფარგლებში.

მუხლი 5

ფინანსური საკითხები

1. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მანდატის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფა განისაზღვროს 390 000 ევროს ოდენობით, რომელიც მოიცავს პერიოდს ამ ერთობლივი მოქმედების მიღების დღიდან, 2009 წლის 28 თებერვლამდე.

2. ხარჯები, რომლებიც ფინანსდება პირველ პუნქტში აღნიშნული თანხით, ხელმისაწვდომია ამ ერთობლივი მოქმედების მიღების დღიდან. თანხების განკარგვა ხდება ევროპული თანამეგობრობის საერთო ბიუჯეტის შესაბამისი პროცედურებისა და წესების დაცვით.

3. ხარჯების მართვა ეფუძნება ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელსა და კომისიას შორის დადებულ კონტრაქტს. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ყოველი ხარჯვითი პუნქტისთვის კომისიის წინაშეა პასუხისმგებელი.

მუხლი 6

ჯგუფის შემადგენლობა

1. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, თავისი მანდატისა და შესაბამისი ფინანსური სახსრების ფარგლებში, პასუხისმგებელია მისი ჯგუფის შედგენაზე, თავმჯდომარესთან კონსულტაციით, რაშიც მას დახმარებას უწევს გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენლი (SG/HR), კომისიასთან სრული ერთობით. ჯგუფში შედიან კონკრეტული სტრატეგიული მიმართულებების ექსპერტები, მანდატის მოთხოვნის შესაბამისად. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ჯგუფის საბოლოო შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას აწვდის გენერალურ მდივანს/უმაღლეს წარმომადგენელს, თავმჯდომარეს და კომისიას.

2. წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შეუძლიათ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შესთავაზონ ექსპერტები მის ჯგუფში სამუშაოდ. წევრი სახელმწიფოს ან ევროკავშირის ინსტიტუტის მიერ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჯგუფში მივლინებული პერსონალის ხელფასს იხდის წარმგზავნი წევრი სახელმწიფო ან შესაბამისი ინსტიტუტი. წევრი სახელმწიფოს მიერ საბჭოს გენერალურ სამდივნოში მივლინებული ექსპერტი ასევე შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჯგუფში. კონტრაქტის საფუძველზე მომუშავე პერსონალი უნდა იყოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე.

3. ყველა მივლინებული პირი რჩება წარმგზავნი წევრი სახელმწიფოს ან ევროკავშირის ინსტიტუტის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში და თავის მოვალეობას ასრულებს და მოქმედებს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მანდატიდან გამომდინარე ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 7

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და მისი პერსონალის პრივილეგიები და იმუნიტეტები. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და მისი პერსონალის დაუბრკოლებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო პრივილეგიები, იმუნიტეტები და სხვა გარანტიები თანხმდება შესაბამის მიმღებ მხარესთან/მხარეებთან. წევრი სახელმწიფოები და ევროკომისია ამ მიმართებით უზრუნველყოფს ყველა საჭირო დახმარებს.

მუხლი 8

ევროკავშირის საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოება. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი და მისი პერსონალი, ევროკავშირის საიდუმლო დოკუმენტებთან მუშაობისას, იცავს უსაფრთხოების პრინციპებსა და მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც დაფუძნებულია საბჭოს 2001 წლის 19 მარტის 2001/264/EC დადგენილებით, რომლითაც მიღებულ იქნა საბჭოს უსაფრთხოების დებულება.

მუხლი 9

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ლოგისტიკური დახმარება.

1. წევრი სახელმწიფოები, კომისია და საბჭოს გენერალური სამდივნო უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლს ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ნებისმიერ შესაბამის ინფორმაციაზე.

2. თავმჯდომარე, კომისია და/ან წევრი სახელმწიფოები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ ლოგისტიკური ხასიათის მხარდაჭერას რეგიონში.

მუხლი 10

უსაფრთხოება

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი - ოპერატიული საქმიანობის მიზნით პერსონალის ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ ევროკავშირის პოლიტიკის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია თანამეგობრობის ხელშეკრულების V კარით – ახორციელებს ყველა გონივრულ პრაქტიკულ ღონისძიებას თავისი მანდატის ფარგლებში და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი გეოგრაფიული არეალის საზღვრებში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის შესაბამისად, უშუალოდ მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის:

(ა) უზრუნველყოფს მისიის სპეციფიკაზე ორიენტირებული უსაფრთხოების გეგმის შემუშავებას, რომელიც დაფუძნებული იქნება საბჭოს გენერალური სამდივნოდან მიღებულ მითითებებზე და მოიცავს: მისიის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების ფიზიკურ, ორგანიზაციულ და პროცედურულ ღონისძიებებს; მისიის გეოგრაფიულ არეალში პერსონალის უსაფრთხო მოძრაობის მართვას; უსაფრთხოების ინციდენტების მართვას; და გაუთვალისწინებელ შემთხვევათა გეგმასა და მისიის ევაკუაციის გეგმას;

(ბ) უზრუნველყოფს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მივლინებული პერსონალის მაღალი რისკის პირობებით დაზღვევას, მისიის ტერიტორიაზე არსებული პირობების შესაბამისად;

(გ) უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მივლინებულმა პერსონალმა, ასევე კონტრაქტის საფუძველზე მომუშავე თანამშრომლებმა გაიარონ უსაფრთხოების შესაბამისი ტრენინგი, მუშაობის დაწყებამდე ან მისიის ტერიტორიაზე ჩამოსვლისთანავე, საბჭოს გენერალური სამდივნოს მიერ მისიის ტერიტორიისთვის მინიჭებული რისკის დონის შესაბამისად;

(დ) უზრუნველყოფს ყველა შეთანხმებული რეკომენდაციის რეგულარულ შეფასებას უსაფრთხოების თვალსაზრისით და წერილობით მოხსენებას წარუდგენს გენერალურ მდივანს/უმაღლეს წარმომადგენელს, საბჭოსა და კომისიას მათი განხორციელების და უსაფრთხოების სხვა საკითხების შესახებ, შუალედური და მანდატის განხორციელების შესახებ მოხსენებების ფარგლებში.

მუხლი 11

მოხსენებების წარდგენა

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი გენერალურ მდივანს/უმაღლეს წარმომადგენელს და პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტს რეგულარულად წარუდგენს ზეპირ და წერილობით მოხსენებებს. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში, მოხსენებას ასევე წარუდგენს სამუშაო ჯგუფებს. რეგულარული წერილობითი მოხსენება ვრცელდება ჩOღEU ქსელის მეშვეობით. გენერალური მდივნის/უმაღლესი წარმომადგენლის ან პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის რეკომენდაციით, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეუძლია მოხსენება წარუდგინოს ზოგად საკითხთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს (GAERC).

მუხლი 12

კოორდინაცია

1. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ხელს უწყობს ევროკავშირის საერთო პოლიტიკურ კოორდინაციას. იგი უზრუნველყოფს ევროკავშირის ინსტრუმენტების შეკავშირებულ ჩართულობას ევროკავშირის ამოცანების მიღწევის მიზნით. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობა კოორდინირებულია თავმჯდომარესთან და კომისიასთან, ასევე რეგიონში ევროკავშირის სხვა სპეციალურ წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან, ამ უკანასკნელის მანდატით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანების პატივისცემის უზრუნველყოფით.

2. დამყარდება მჭიდრო კავშირი თავმჯდომარესთან, კომისიასთან და წევრი სახელმწიფოების მისიების ხელმძღვანელებთან.ისინი ყველა ძალას იხმარენ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისთვის მისი მანდატის განხორციელებაში დასახმარებლად. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ასევე კავშირებს ამყარებს სხვა საერთაშორისო და რეგიონულ აქტორებთან.

მუხლი 13

მიმოხილვა

ამ ერთობლივი მოქმედების განხორციელება და მისი ურთიერთქმედება ევროკავშირის სხვა ღონისძიებებთან რეგულარულ მიმოხილვას ექვემდებარება. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი 2008 წლის 15 დეკემბრამდე გენერალურ მდივანს/უმაღლეს წარმომადგენელს, საბჭოსა და კომისიას წარუდგენს სრულ მოხსენებას მისი მანდატის განხორციელების შესახებ. ეს მოხსენება ქმნის საფუძველს შესაბამის სამუშაო ჯგუფებში ამ ერთობლივი მოქმედების შეფასებისთვის, რასაც ახორციელებს პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტი. განვითარების საერთო პრიორიტეტების კონტექსტში გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენელი პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს მანდატის განახლების, შესწორების ან შეწყვეტის შესახებ საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 14

ძალაში შესვლა

ეს ერთობლივი მოქმედება ძალაში შედის მიღებისთანავე.

მუხლი 15

გამოქვეყნება

ეს ერთობლივი მოქმედება გამოქვეყნდეს ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

მიღებულია ბრიუსელში, **2008 წლის 25 სექტემბერს**

საბჭოს სახელით

თავმჯდომარე **ვ. კუშნერი**

(http://eur-lex.europa.eu/საკუთარი თარგმანი)